თვითმმართველი თემი
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 39

„07“ ივნისი 2016 წელი

## თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ძლიერი მუნიციპალიტეტი“-ს დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 30-ე მუხლის და თვითმმართველი თემი თელავის საკრებულოს რეგლამენტის 35-ე მუხლის თანახმად:

1. მიღებულ იქნეს ცნობად თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია “ძლიერი მუნიციპალიტეტი“-ს დაფუძნება და ფრაქციის თავმჯდომარედ დეპუტატ დავით თუშიშვილის არჩევა
2. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე;
3. ამ განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ.თელავი, დ.აღმაშენებლის გამზ. №41) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საკრებულოს თავმჯდომარე პაატა გიორგობიანი

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს იურდიულ საკითხთა კომისიის
თავმჯდომარეს ქალბატონ ნანა ხვისტანს

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატებმა დავით თუშიშვილმა, კახაბერ ენუქაშვილმა, ბიძინა პაპაშვილმა მივიღეთ გადაწყვეტილება შევქმნათ ფრაქცია „ ძლიერი მუნიციპალიტეტი“.

მიმდინარე წლის 27 მაისს ჩავატარეთ ფრაქციის დამფუძნებელი სხდომა (ოქმი თან ერთვის) სადაც მიღებული იქნა ფრაქციის პლატფორმა და წესდება.

გთხოვთ მიიღოთ შესაბამისი ზომები აღნიშნული ფრაქციის რეგისტრაციისათვის.

პატივისცემით,

საკრებულოს დეპუტატები: 1.

2.

3.

27/05/2016 წ.

თვითმმართველი თემი თელავის
მუნიციპალიტეტის საკრებულო.
შემოსვ.№ 06 ფურც. 9
27. 05 2016

# ო ქ მ ი N 1

ქ.თელავი „27“ მაისი 2016 წ.

## თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ძლიერი მუნიციპალიტეტის" დამფუძნებელი სხდომა

2016 წლის 27 მაისს შედგა თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ძლიერი მუნიციპალიტეტის“ დამფუძნებელი სხდომა.

**სხდომას ესწრებოდნენ:** ფრაქციის დამფუძნებელი საკრებულოს წევრები: დავით თუშიშვილი კახაბერ ენუქაშვილი, ბიძინა პაპაშვილი,

**სხდომას თავმჯდომარეობდა:** დავით თუშიშვილი

დავით თუშიშვილმა სხდომას წარუდგინა დასამტკიცებელი დღის წესრიგი შემდეგი სახით:

1. ფრაქცია „ძლიერი მუნიციპალიტეტის“ დაფუძნების შესახებ;
2. ფრაქციის პლატფორმის და წესდების დამტკიცების შესახებ;
3. ფრაქციის თავმჯდომარის არჩევის შესახებ;
4. ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ.

**დაადგინეს: მიღებულ იქნას დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.**

**მოისმინეს:** 1. ფრაქცია „ძლიერი მუნიციპალიტეტის“ დაფუძნების შესახებ;

**აზრი გამოთქვეს:** ბიძინა პაპაშვილმა, კახაბერ ენუქაშვილმა მათ ისაუბრეს ფრაქციის შექმნის აუცილებლობაზე და მის მნიშვნელობაზე თვითმმართველობის (გამჭვირვალე საქმიანობისათვის).

**დაადგინეს:** 1. დაფუძნდეს ფრაქცია „ძლიერი მუნიციპალიტეტი“ შემდეგი შემადგენლობით:

1. დავით თუშიშვილი
2. კახაბერ ენუქაშვილი
3. ბიძინა პაპაშვილი

2. აღნიშნულის შესახებ ეცნობოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს რეგისტრაციისათვის საჭირო ზომების მისაღებად.

მოისმინეს: 2. ფრაქციის პლათფორმის და წესდების დამტკიცების შესახებ;

აზრი გამოთქვეს: ბიძინა პაპაშვილმა, დავით თუშიშვილმა მათ ისაუბრეს მუნიციპალიტეტის საქმიანობის გამჭვირვალეობის აუცილებლობის შესახებ.

დაადგინეს: მიღებულ იქნას ფრაქცია „ძლიერი მუნიციპალიტეტი" პლათფორმა და წესდება წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს: 3. ფრაქციის თავმჯდომარის არჩევის შესახებ;

აზრი გამოთქვეს: ბიძინა პაპაშვილმა ფრაქციის თავმჯდომარის თანამდებობაზე დაასახელა დავით თუშიშვილის კანდიდატურა. სხვა კანდიდატურა არ ყოფილა წარმოდგენილი, კანდიდატს მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე ყველა დეპუტატმა.

დაადგინეს: ფრაქცია „ძლიერი მუნიციპალიტეტი" თავმჯდომარედ არჩეულ იქნას დავით თუშიშვილი

მოისმინეს: 4. ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ;

აზრი გამოთქვეს: ფრაქციის თავმჯდომარემ დავით თუშიშვილმა თავმჯდომარის მოადგილედ დაასახელა თანამდებობაზე დაასახელა ბიძინა პაპაშვილის კანდიდატურა. წარმოდგენილ კანდიდატურას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე ყველა დეპუტატმა.

დაადგინეს: ფრაქცია „ძლიერი მუნიციპალიტეტი" თავმჯდომარის მოადგფილედ არჩეულ იქნას - ბიძინა პაპაშვილი

სხდომის თავმჯდომარე

მდივანი

მ ი ღ ე ბ უ ლ ი ა

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია „ძლიერი მუნიციპალიტეტი"-ს

დამფუძნებელ სხდომაზე 27 მაისი 2016 (იხ. ოქმი N1)

ფრაქციის თავმჯდომარე დავით თუშიშვილი

## თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## ფრაქცია „ძლიერი მუნიციპალიტეტი"-ს

## პოლიტიკური პლატფორმა

1. ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის განვითარების ხელშეწყობა;
2. მუნიციპალიტეტის სტაბილური სოციალურ-ეკონმიკური განვითარების ხელშეწყობა;
3. თვითმმართველი თემის თელავის მუნიციპალიტეტის განვითარების საკითხებზე პოლიტიკურ გაერთიანებებთან, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან კოსტრუქციული თანამშრომლობა;
4. თვითმმართველი თემის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურის განვითარების მხარდაჭერა;
5. თვითმმართველი თემის მუნიციპალიტეტის საჭირო საინვენსტიციო გარემოს შექმნის ხელშეწყობა;
6. მუნიციპალური საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის კონტროლი;
7. თვითმმართველი თემის თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგანმანათლებლო და ჯანდაცვითი პროექტებისა და პროგრამების ხელშეწყობა;
8. თვითმმართველი თემის თელავის მუნიციპალიტეტის ფარგლებში კულტურისა და სპორტის განვითარების ხელშეწყობა;
9. მუნიციპალური განვითარების პროგრამებისა და პროექტების ინიცირება;
10. სამოქალაქო ინიციატივების მხარდაჭერა საკრებულოში;

**მ ი ღ ე ბ უ ლ ი ა**

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია „ძლიერი მუნიციპალიტეტი““-ს
დამფუძნებელ სხდომაზე 27 მაისი 2016 (იხ. ოქმი N1)

ფრაქციის თავმჯდომარე დავით თუშიშვილი

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია „ძლიერი მუნიციპალიტეტი““

# წ ე ს დ ე ბ ა

## თავი I
## ზოგადი დებულებანი

მუხლი 1.

1. საკრებულოს ფრაქცია „„ძლიერი მუნიციპალიტეტი““ (შემდგომში „ფრაქცია“) არის საერთო პოლიტიკური შეხედულების მქონე საკრებულოს წევრთა ნებაყოფლობითი გაერთიანება.
2. ფრაქციის შექმნისა და საქმიანობის სამართლებრივი საფუძველია საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საკრებულოს რეგლამენტი და სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტები.

## თავი II

მუხლი 2.
ფრაქციის ძირითადი მიზნები და ამოცანებია:
ა) საკრებულოში მიმდინარე და განსახილველ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი საზოგადოებრივი და პოლიტიკური კურსის გამოხატვა და გატარება;
ბ) საკრებულოსა და მისი ორგანოების საქმიანობის სრულყოფილებაში მონაწილეობის მიღება;
გ) საკრებულოს წევრთა შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენასა და მათი აქტივობის გაზრდისთვის ხელის შეწყობა;
დ) ფრაქციის პლატფორმის განხორციელება;

## თავი III

მუხლი 3.
ფრაქცია უფლებამოსილია:
ა) მოამზადოს და საკრებულოს წარუდგინოს განსახილველად ნორმატიული აქტების პროექტები;
ბ) განიხილოს ბიუჯეტის პროექტი და მოამზადოს შესაბამისი დასკვნა;
გ) შეკითხვით მიმართავს საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებულ, პასუხისმგებელ ორგანოებს და გამგეობის ცალკეულ წევრებს;
დ) მონაწილეობა მიიღოს საკრებულოს კომისიების, დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში პრინციპის დაცვით;

ე) წარადგინოს კანდიდატები ამ მუხლის „დ“ პუნქტში მითითებულ ორგანოებში, აგრეთვე გამოიწვიოს ფრაქციის წევრი ამ ორგანოებიდან, გადაწყვიტოს ფრაქციის წარმომადგენლობასთან დაკავშირებული სხვა შესაბამისი საკითხები;
ვ) მოსთხოვოს საკრებულოს აპარატს ფრაქციის ოფიციალური მიმართვის გავრცელება საკრებულოს წევრებს შორის;
ზ) რეგლამენტის დადგენილი წესით კომისიების და საკრებულოს სხდომებზე გამოთქვას მოსაზრება საკრებულოს მიერ ასარჩევ, დასანიშნ ან დასამტკიცებელ კანდიდატურებთან, ან იმ კანდიდატურებთან დაკავშირებით, რომლის დანიშვნაზეც თანხმობას აძლევს საკრებულო.
თ) განახორციელოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილება.

## თავი IV
## ფრაქციის სტრუქტურა და საქმიანობის წესი

მუხლი 4.

1. ფრაქციის უმაღლესი ორგანოა ფრაქციის სხდომა;
2. ფრაქციის სხდომა ღიაა. ფრაქციის სხდომა ფრაქციის სრული შემადგენლობის უმრავლესობის გადაწყვეტილებით შეიძლება იყოს დახურული:
   ა) ფრაქციის თავმჯდომარის ან ფრაქციაში გაერთიანებულ წევრთა უმრავლესობის მოთხოვნის საფუძველზე;
   ბ) კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
3. ფრაქციის სხდომები იმართება არანაკლებ თვეში ორჯერ ან საჭიროებისამებრ, საჭიროებისამებრ ფრაქციის სხდომის მოწვევის უფლება აქვს ფრაქციის თავმჯდომარეს საკუთარი ინიციატივით, ან ფრაქციის არანაკლებ 2 წევრის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.
4. ფრაქციის სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება ფრაქციის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობა.
5. ფრაქციის სხდომის დღის წესრიგს ადგენს და ფრაქციის სხდომას დასამტკიცებლად წარუდგენს ფრაქციის თვმჯდომარე.
6. ფრაქციის სხდომის დღის წესრიგს ამტკიცებს ფრაქციის სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ სხდომის გახსნისთვის (უფლებამოსილებისათვის) დადგენილი ზღვრის ნახევარისა.
7. დღის წესრიგში ცვლილებების (საკითხის ამოღება ან დამატება) შეტანის ინიცირების უფლება აქვს ფრაქციის წევრს. გადაწვეტილება მიიღება ამ მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილი წესით.
8. თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ფრაქციის სხდომაზე გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრე წევრთა უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ ფრაქციის სრული შემადგნლობის ერთი მესამედისა.
9. ფრაქციის სხდომა უფლებამოსილია:
   ა) შეიტანოს ცვლილებები და დამატებები ფრაქციის წესდებაში;
   ბ) მიიღოს გადაწყვეტილება საკრებულოს სხდომაზე განსახილველი საკითხის შესახებ ფრაქციის ერთიანი პოზიის გამოხატვის თაობაზე;
   გ) აირჩიოს ფრაქციის თანამდებობის პირები;
   დ) გადწყვიტოს ფრაქციის საქმიანობასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხები;
   ე) რეგლამენტით დადგენილი წესით წარადგინოს კანდიდატები საკრებულოს თანამდებობის პირთა არჩევით თანამდებობაზე;

გადაწყვიტოს ფრაქციის წარმომადგენლობის კვოტების გამოყენების წესი.
ზ) განიხილოს და გადაწყვიტოს ფრაქციაში საკრებულოს წევრის გაწევრიანებისა და ფრაქციიდან ფრაქციის წევრის გარიცხვის საკითხი;
თ) განახორციელოს საკრებულოს რეგლამენტითა და საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის" შესახებ, ასევე ამ წესდებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილება.

მუხლი 5.

1. ფრაქცია თავისი შემადგენლობიდან, ფრაქციის სხდომაზე, ფრაქციის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობით, ღია კენჭისყრით ირჩევს ფრაქციის თავმჯდომარეს.
2. ფრაქციის თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს ფრაქციის წევრს.
3. ფრაქციის თავმჯდომარე:
   ა) ხელმძღვანელობს ფრაქციის საქმიანობას;
   ბ) წარმოადგენს ფრაქციას საკრებულოში;
   გ) იწვევს და წარმართავს ფრაქციის სხდომას;
   დ) ახორციელებს კანონმდებლობითა და წესდებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს;
4. ფრაქციის თავმჯდომარეს უფლება აქვს ნებისმიერ დროს გადადგეს ფრაქციის თავმჯდომარის თანამდებობიდან.
5. ფრაქცია უფლებამოსილია გადააყენოს ფრაქციის თავმჯდომარე დაკავებული თანამდებობიდან, თუ ამას წერილობით მოითხოვს ფრაქციის წევრთა არანაკლებ ერთი მესამედი. ფრაქციის თავმჯდომარე ვალდებულია აღნიშნული საკითხი შეიტანოს ფრაქციის უახლოესი სხდომის დღის წესრიგში. ფრაქციის თავმჯდომარე გადაყენებულად ჩაითვლება თუ გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერს ფრაქციის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

მუხლი 6.

1. ფრაქცია თავისი შემადგენლობიდან, ფრაქციის წევრთა უმრავლესობით, ღია კენჭისყრით ირჩევს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეს.
2. ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს ფრაქციის თავმჯდომარეს ან ფრაქციის წევრთა უმრავლესობას.
3. ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე:
   ა) ფრაქციის თავმჯდომარის დავალებით ხელმძღვანელობს ფრაქციის საქმიანობის ცალკეულ მიმართულებებს;
   ბ) ასრულებს ფრაქციის თავმჯდომარის მოვალეობას მისი არყოფნის ან მისი პირდაპირი დავალებით.
4. ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე შეიძლება გადაყენებულ იქნეს დაკავებული თანამდებობიდან, თუ ამას მოითხოვს ფრაქციის თავმჯდომარე ან ფრაქციის წევრთა არანაკლებ ერთი მესამედი წერილობით. ფრაქციის თავმჯდომარე ვალდებულია აღნიშნული საკითხი შეიტანოს ფრაქციის უახლოესი სხდომის დღის წესრიგში, ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე გადარჩეულად ჩაითვლება თუ მხარს დაუჭერს ფრაქციის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

თავი V
ფრაქციის შემადგენლობა

მუხლი 7.

1. ფრაქციის წევრი შეიძლება გახდეს საკრებულოს ნებისმიერი წევრი, რომელიც იზიარებს ფრაქციის პლატფორმას და წესდებას.
2. ფრაქციაში გაწევრიანებისთვის საკრებულოს წევრი განცხადებით მიმართავს ფრაქციის თავმჯდომარეს, რომელსაც საკრებულოს წევრის ფრაქციაში გაწევრიანების საკითხი შეაქვს ფრაქციის უახლოესი სხდომის დღის წესრიგში, რისთვისაც ფრაქციის სხდომას მოიწვევს არაუგვიანეს ერთი თვისა განცხადების წარდგენის დღიდან.
3. ფრაქციაში საკრებულოს წევრის გაერთიანების შასახებ გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება ფრაქციის შემადგენლობის უმრავლესობით.
4. ფრაქციის წევრი ვალდებულია :
   ა) დაიცვას ფრაქციის პლატფორმა და წესდება;
   ბ) დაიცვას ფრაქციის სხდომის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და ფრაქციის თავმჯდომარის მითითებები;
   გ) არ განახორციელოს ფრაქციის კურსის საწინააღმდეგო ქმედება.
5. ფრაქციის წევრი უფლებამოსილია რეგლამენტით დადგენილი წესით გავიდეს ფრაქციის შემადგენლობიდა.
6. ფრაქციას უფლებამოსილება აქვს სრული შემადგენლობის უმრავლესობით მიიღოს გადაწყვეტილება თავისი შემადგენლობიდან ფრაქციის წევრის გარიცხვის შესახებ, თუ
   ა) მისი საქმიანობა ეწინააღმდეგება ფრაქციის ამოცანებს;
   ბ) მისი საქმიანობა ეწინააღმდეგება ფრაქციის პლატფორმას;
   გ) განზრახ ან არასაპატიო მიზეზით სისტემატიურად არღვევს ფრაქციის წესდების მოთხოვნას.
7. ფრაქციის წევრის ფრაქციიდან გარიცხვის მოთხოვნის უფლება აქვს ფრაქციის თავმჯდომარეს ან ფრაქციის უმრავლესობას. ფრაქციიდან ფრაქციის წევრის გარიცხვის მოთხოვნა წერილობით უნდა იყოს დასაბუთებული.

თავი VI
ფრაქციის წესდების გადასინჯვა

მუხლი 8.

1. ფრაქციის წესდების ზოგადი ან ნაწილობრივი გადასინჯვის ინიცირების უფლება აქვს ფრაქციის თავმჯდომარეს, ფრაქციის უმრავლესობას.
2. ფრაქციის თავმჯდომარე ვალდებულია უზრუნველყოს წესდების ზოგადი ან ნაწილობრივი გადასინჯვის პროექტი, გააცნოს ფრაქციის ყველა წევრს და

საკითხის ინიცირებიდან ერთი თვის ვადაში შეიტანოს ფრაქციის სხდომის დღის წესრიგში.

3. ფრაქციის წესდების ზოგადი ან ნაწილობრივი გადასინჯვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ფრაქციის სხდომა, თუ მას მხარს დაუჭერს ფრაქციის სრული შემადგენლობის ორი მესამედი.

## თავი VII
## ფრაქციის გაუქმება

მუხლი 9.

ფრაქცია ჩაითვლება გაუქმებულად თუ ფრაქციის წევრთა გასვლის ან გარიცხვის შედეგად მასში გაერთიანებული დარჩება საკრებულოს სამ წევრზე ნაკლები.

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომის

დ ა ს კ ვ ნ ა

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიამ განიხილა თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატების: 1. დავით თუშიშვილის 2.კახაბერ ენუქაშვილის ბიძინა პაპაშვილის განცხადება და ავღნიშნავთ, რომ საკრებულოს დეპუტატების მიერ ფრაქცია ,,ძლიერი მუნიციპალიტეტი'' დაფუძნებულია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი''-ს 30-ე მუხლის და თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 35-ე მუხლის მოთხოვნათა სრული დაცვით, შესაბამისად ფრაქცია ,,ძლიერი მუნიციპალიტეტი'' ექვემდებარება რეგისტრაციას.

კომისიის თავმჯდომარე ნ. ხვისტანი

6.06. 2016 წ.